გამოდის ყოველ შაბათს

ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია

№ 41

(67) 1997 წ

21 ნოემბერი

## კინომალერეა






**თარაზულად: 10.** (**იხილეთ ფოტო**); **11.** რუსული თეატრის დიდი რეფორმატორი; **12.** ყოფილი გდრ-ის კინოსტუდია; **13.** რეჟისორის შრომის პროდუქტი; **14.** (**იხილეთ ფოტო**); **15.** (**იხილეთ ფოტო**); **16.** სინიორიტა მუტი; **18.** ფრანგული კინოს ყველაზე ცნობილი „ქალი"; **20.** ორენოვანი ტექსტი; **23.** გოსპოჟა ფრეინდლიხი; **24.** რა აყვავდა ერთ ქართულ ფილმში? **25.** თანამედროვე რუსეთის „ჯადოქარი"; **27.** რა უნდა გაიაროს ყოველმა დეპუტატმა სხდომამდე? **31.** ყოფილი ჩეხოსლოვაკიის კინოსტუდია; **32.** პროდუქციის დადგენილი გაბარიტები; **35.** რა ქმნის საჯაროობას თუნდაც კინემატოგრაფიაში? **37.** აწდამთავრებული „კასანდრას" ბოროტი პერსონაჟი; **40.** რა ერქვა ჭიაბერის ლას? **41.** სადაური იყო თითოეული „ყველაზე სწრაფთაგანი მსოფლიოში"? **42.** ჩაპაევის საანეკდოტო კოლეგა ქალბატონი; **45.** ცნობილი თანამედროვე რუსი კინორეჟისორი, ივან... **46.** (**იხილეთ ფოტო**);

**შვეულად: 1.** (**იხილეთ ფოტო**); **2.** ლათინური ამერიკის სახელმწიფო; **3.** ქალაქი აშშ-ს პენსილვანიის შტატში; **4.** (**იხილეთ ფოტო**); **5.** მსოფლიო კინოს ერთ-ერთი უდიდესი მაესტრო; **6.** ბავშვის სასიმღერო ხმა; **7.** დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელი უცხო ქვეყანაში; **8.** საბანკო საბუთი; **9.** რაფიელ საბატინის სათავგადასავლო რომანი; **17.** ქალბატონი ასათიანი, ქართველი კინომსახიობი; **19.** ყელის დაავადება; **21.** სენიორიტა სტალერი, იგივე ჩიჩოლინა; **22.** იგივეა, რაც მსგავსი, შესაბამისი; **26.** ავადმყოფური წერის ჩვევა; **28.** იტალიური კინოს განუმეორებელი კომიკოსი; **29.** იგივეა, რაც უგემოვნო, თუნდაც კინონაწარმოები; **30.** რა გააჩნია წუთისოფელს ერთ ხატოვან ქართულ თქმაში; **33.** ფრინველი ერთი თურქული მრავალსერიანი ტელეფილმიდან; **34.** ერთგვარი ტვირთსაზიდი ნავი; **36.** რეჟისორი ფილმისა „ბაში-აჩუკი"; **38.** რა შეიძლება გაახსენდეს კაცს ჩინოჩიტას ხსენებაზე? **39.** „მერსედესის" ფუნქციონალური კოლეგა; **43.** ლეილა აბაშიძის პირველი კინოროლი; **44.** მისის გარდნერი, ჰოლივუდის კინოვარსკვლავი.
















## შაირ – შაირები

1

ჩვენ სიტყვა „თავისუფლება"
პირზე რომ გვქონდა მიკრული,
მიტომ ვამტვრიეთ რუსული
სახლის კიბე და რიკული;
მაგრამ რა?! – ჩვენს თავს
დავმართეთ
საქმე ბრიყვული, კიკური –
ახლა უღელად დავიდგით
ცხოვრება ამერიკული.

2

გამკვირვებია, ღმერთმანი,
მე ყიფიანი დათოსი:
იგი მინდორზე ბრწყინავდა,
ვით მუშკეტერი ათოსი,
სომხებს შვიდით ნოლს რომ
უგებს
(წაგვკიდა ჰაოს-ქართლოსი),
პორტუგალიელ ბიჭებთან
რად ეკარგება პათოსი?!

3

გახსოვთ – რომ იყო ყინვა და
ხელის მოთოშვა, დაზრობა,
რომ იყო მიტინგობა და
ხელისუფლების ბრაზობა
რომ იყო ერის ხსნისათვის
ფიქრი, განსჯა და აზრობა...
ახლა კი?! – ახლა რა არის:
ბაზრობა, მხოლოდ ბაზრობა!



ტარდება ლექცია მეზღვაურებისათვის ცოლ-ქმრული ურთიერთობის შესახებ.

– ოჯახური ღალატი, სამწუხაროდ კვლავაც ხშირი მოვლენაა – ამბობს ლექტორი – სოციოლოგთა მონაცემებით ყველაზე ხშირად მსახიობები ღალატობენ, შემდეგ მოდიან სპორტსმენები, მათ მეზღვაურები მოსდევენ. მიზეზი თქვენთვის ცნობილია: ხანგრძლივი განშორება, დიდი დატვირთვები და ა.შ.

– ბოდიში – ამბობს ერთი ჩია ტანის მეზღვაური – მე უკვე 30 წელია ვცურავ და არასოდეს მიღალატია ცოლისთვის.

ამ დროს წამოხტა ერთი ბეხლეწი და დაიძახა:

– აი, შენნაირი დებილების გამოა, რომ მესამე ადგილზე ვართ.

4

წარსულ დროთაგან შემოგვრჩა
ბევრი ისეთი უწყება,
რომელიც, საქმის კი არა,
ფულის კეთებას უძღვება;
და ახლა ვიტყვი იმ სათქმელს,
გული დიდხანს რომ უძლებდა:
ღმერთო!
რა ერთად წამოყო
თავი ამდენმა უძღებმა!

5

რაც რომ ცრებიზნესს შეუწყო
ხელი ამ ჩვენმა ეკრანმა,
მწამს, რომ ბულბული მოხიბლა,
ვარდმა კი არა, ეკალმა;
ჰოდა, ეს სიბრძნე ირწმუნა
ყველა თიკამ და თეკლამა
რომ გონჯსაც ტურფა ერქმევა,
თუკი აქვს კარგი რეკლამა.

6

ზოგს ფულის მოსვლა ახარებს,
ზოგი მისტირის გასავალს,
ზოგი გასულ გზას გასცქერის,
ზოგი – მომავალ გზასავალს;
ზოგი სახლს რკინებს უკეთებს,
ზოგი – სულ ფიცრის მასალას...
და ყველა ერთად კითხულობს
გაზეთ
„ასავალ-დასავალს"

## დღევანდელ ნომერში წარმოდგენილია:

*გიგანტური სკანდინავიური*
*კროუფ(ვ)ორდი*
*მარკო პოლოს და ჯორდანო*
*ბრუნოს მხილება...*
*სახიფათო*
*გასეირნება ლონდონში*
*ნოსტრადამუსის*
*წინასწარმეტყველებანი*
*1998*
*წლისათვის.*



**XEROX**

მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი"
(ამოსასვლელი ბავშვთა სამყაროს მხარეს)
იაფად, სწრაფად, ხარისხიანად,
უფასო აკინძვით.
აქვე შეგიძლიათ პირადი საბუთების
ლამინირება. ყოველდღე!

## *გვაქვს იდეა!*

*ანუ მოქანდაკენო,*

*„აწ კი თქვენ გამოდით, თქვენი ჭირიმე!"*

გარდასულმა ეპოქამ, როგორც ყოველ ეპოქას სჩვევია, თავისი ნაკვალევი დაცარიელებული კვარცხლბეკებით დაგვიტოვა (...და სანამ ამ კვარცხლბეკებს ახალი მფლობელები გამოუჩნდება), ამიტომაც მივმართავთ ჩვენს სახელოვან მოქანდაკეებს, რომ მათ შექმნან ჩვენი ეპოქის უტყუარი ნიშანი, რათა მომავალ ეპოქებს ჩვენც დავუტოვოთ ჩვენი ნაკვალევი. ეს „უტყუარი ნიშანი" კი, ჩვენის აზრით, გახლავთ სალეჭი რეზინი დალეჭილ მდგომარეობაში (თქვენი უკიდეგანო ფანტაზიის დამატებით), რაშიც აისახება 80-90-იანი წლების თაობის ყველა სტილი, მოდა, პოლიტიკური შეხედულებანი თუ სარეკლამო ციებ-ცხელება.

...რაც შეეხება ამ დალეჭილი სალეჭი რეზინების კვარცხლბეკებს, ისინი უკვე გამზადებული სახით დაგვიტოვა გარდასულმა ეპოქამ!

## ყველა გზა კროსვორდისკენ მიდის!



Do you speak English?

## ლონდონის ავტოპარკი

დიდი ბრიტანეთი თავისი ლონდონით ჩვენგან სრულიად განსხვავებული სამყაროა. აქ ყველაფერი უკუღმა ხდება: მანქანებს გზის მარცხენა მხარეს ატარებენ, ავარიებს ნაკლებად ახდენენ, თვით წვიმიან ამინდშიც კი სუფთა ავტომობილებით დადიან; ავტობუსები ნაირფრად შეღებილი და ორსართულიანებია, ირგვლივ უამრავი ტაქსია და მძღოლები მხოლოდ მრიცხველის მიხედვით იღებენ ფულს. მართალია ე.წ. „ხალტურა“ მათაც უყვართ, მაგრამ უამისოდაც თავაზიანად ექცევიან მგზავრს.

## მათხოვრები მობილური ტელეფონით

ლონდონში სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული უამრავი მათხოვარი და ესახლკაროა, თუმცა, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, მათ შეუძლიათ საკუთარ თავს ისეთი ფუფუნების უფლება მისცენ, როგორიც ე.წ. მობილური ტელეფონია, რაც ჩვენში სიმდიდრის ერთ-ერთ ატრიბუტს წარმოადგენს. ლონდონის ცენტრალურ სავაჭრო ქუჩაზე, რომელიც „ოქსფროდ-სტრიტის“ სახელს ატარებს, თქვენ შეგიძლიათ შეხვდეთ მათხოვარს, რომელიც სადღაც კიბის ქვეშაა მიყუჟული და თავის კოლეგას „მობილურით“ ესაუბრება. ამგვარი ფუფუნება მათხოვრისათვის სულ რაღაც ხუთი ფუნტი სტერლინგი ღირს, რომლის გადახდითაც იგი ნახევარი წლის განმავლობაში სატელეფონო სადგურის აბონენტი ხდება. მასვე შეუძლია ნებისმიერი ტელეფონ-ავტომატიდან, იმავე ხუთი ფუნტის ფასად მსოფლიოს ნებისმიერ წერტილს დაუკავშირდეს. და საერთოდ, ხუთ ფუნტად შეგიძლიათ შეიძინოთ ტყავის კურტაკი, სპორტული მაისური ან ჯინსები, როგორც თქვენ გნებავთ...

# ლონდონში გასეირნება

## ლონდონელი ხულიგანი გოგონები



როგორც ინგლისური პრესა იუწყება, საღამოს საათებში ლონდონის ქუჩებში არ უნდა გამოეცნაუროთ ახალგაზრდა გოგონებს, რადგან ეს თურმე სიცოცხლისათვის სახიფათო ყოფილა. ინგლისის დედაქალაქის გარეუბნებში ბეისბოლის კეტებით და დანებით შეიარაღებული, მთვრალი, აგრესიულად განწყობილი 14-17 წლის „ქალბატონები“ დასეირნობენ. ისინი ძარცვავენ ყველა გამვლელს და განსაკუთრებით ქალებსა და მოხუც ადამიანებს და თავის იარაღს მცირეოდენი წინააღმდეგობის გაწევისთანავე მოიხმარენ. ბეისბოლის მძიმე კეტი კი, თუნდაც გოგონას მიერ მოქნეული, კარგს არაფერს უქადის ძლიერ მამაკაცსაც კი.

ეს ნორჩი მძარცველები არც ავტომობილებს ინდობენ. ისინი წამიერად ამსხვრევენ ტრანსპორტის მინებს და მიაქვთ ყველაფერი, რაც ხელში მოხვდებათ. თვით სიგნალიზაციის ამუშავებაც კი არ აფრთხობს მათ და პატრონის გამოჩენამდე არ ეშვებიან თავის ნადავლს. ამ გოგონების საყვარელი გასართობი პატარა მაღაზიების დაყაჩაღებაც გახლავთ. ისინი ერთ დიდ ბრბოდ შერბიან სავაჭრო ობიექტში და გამყიდველთა მუქარის მიუხედავად დახლებიდან ხვეტენ სალეჭ რეზინს, წვენებს, ალკოჰოლურ სასმელს და სიგარეტს.

ლონდონელები ყველაზე მეტად უფრთხიან ორ ბანდას, რომელთაც ერთობ ეკზოტიკური სახელები აქვთ – „გეტოს მაწანწალები“ და „ნიუკროსის კახპები“. პოლიციას აქვს ფაქტები იმისა, რომ ეს ბანდები ნარკობიზნესის მაგნატებსაც არ უფრთხიან და მათს ვაჭრობაში ხელს აფათურებენ. გოგონებთან ბრძოლა ძალზედ ძნელია, რადგან მამაკაცები, ერიდებიან რა დაცინვას, არ ამხელენ იმას, რომ პატარა გოგონების მიერ იქნენ გაძარცულნი.

ბრიტანული პრესის ინფორმაციით მოზარდთა დანაშაულებრიობა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მოკლე დროში ეს გოგონები ძლიერ მამაკაცთა მაფიოზურ დაჯგუფებებს აჯობებენ კრომინალურ ქმედებებში.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 10 წლის გოგონებმაც დაიწყეს მოქალაქეთა ძარცვა და მოკვლაც კი. ცნობილია ფაქტი, თუ რა საშინლად სცემეს და სიკვდილის პირამდე მიიყვანეს 10-11 წლის გოგონებმა თავისზე ბევრად უფროსი ახალგაზრდა. და ეს ფაქტები გამონაკლისი არ გახლავთ.

ასე რომ, ლონდონში ყოფნისას ერიდეთ საღამოს გასეირნებას.

## ლონდონელი ძაღლები

ლონდონში ძაღლებსაც კი სხვაგვარად უვლიან და ეპყრობიან აქ საერთოდ ვერ ნახავთ მაწანწალა ძაღლებს. თუ პატრონს თავისი ოთხფეხა მეგობარი დაეკარგა, ეს საზოგადოებისათვის ტრაგედიად აღიქმება; დაკარგულს უმალ ძებნიან და პატრონს აბარებენ, ან თავშესაფარში მიჰყავთ. ინგლისში დიდი ხანია ძაღლის ყოველგვარი დაავადება დამარცხებულია. ამას ხელი შეუწყო ამ ქვეყნის მატერიკისაგან იზოლირებამ, თუმცაღა მთავარი მიზეზი მაინც ისაა, რომ არსებობს მკაცრი საბაჟო-ვეტერინარული სამსახური.

ყოველ პარკში თუ სკვერში არის ძაღლისათვის განკუთვნილი ტუალეტი – ქვიშით სავსე დიდი ორმოები, სადაც ოთხფეხები ფიზიოლოგიურ მოთხოვნას იკმაყოფილებენ. მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ ცუგამ ტუალეტამდე ვერ მიაღწია, ამისათვის ყოველთვის მზად არის მისი პატრონი, რომელიც ძაღლთან ერთად აქანდაზის გარეშე სახლიდან არ გამოისეირნებს. ყოველ ძაღლის პატრონს ჩვევად აქვს ქცეული ქუჩის დასუფთავება, რათა თავისი მეგობარი არავის გაალანძღვინოს... ეს მართლაც რომ „უკუღმართი საქციელია“ ჩვენი გაგებით.

## ანეკდოტი მოცემულ თემაზე

ორი ლონდონელი ბიზნესმენი კლუბში ხვდება ერთმანეთს.

– რატომ ვართ მოწყენილები, სერ?! ბანქო ხომ არ გვეთამაშა?

– შეიძლება. მაგრამ გაითვალისწინეთ, სერ, რომ მე თხუთმეტი წელია, რაც ბანქოს ქაღალდები ხელშიც კი არ მჭერია.

– ო-ო-ო... მე კი – ოცი!

– მაინც ვითამაშოთ!

ბარმენს მოაქვს ბანქოს ქაღალდები. ერთ-ერთი ბიზნესმენი ხელის გულზე იღებს ბანქოს და ამბობს:

– აქ ერთი ქაღალდი აკლია.

მეორე ბიზნესმენი ართმევს ბანქოს ქაღალდებს, ისიც ხელით წონის და აზუსტებს:

– მართალია, აკლია... ჯვრის ათიანი.

# ინგლისელი მეცნიერები დიდი იტალიელების წინააღმდეგ

**უკანასკნელ წლებში ინგლისელმა მეცნიერებმა „ჯვაროსნული ლაშქრობა“ მოაწყეს წარსულის გამოჩენილი პიროვნებების წინააღმდეგ. გთავაზობთ ორ ფაქტს ინგლისურ-იტალიური დუელიდან.**

## 1.მარკო პოლო – მოგზაური თუ ფანტაზიორი?!



ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ანეტ ფრენსის ვუდმა ახლახანს გამოსცა წიგნი შუასაუკუნეების მოგზაურის, მარკო პოლოს შესახებ.

მარკო პოლოს სახელი ყველასათვის ცნობილია. ჩვენ ვიცით, რომ შვიდასი წლის წინ სწორედ მან შეაღო აღმოსავლეთის კარიბჭე. იგი ჩინეთამდეც კი ჩავიდა და თავისი მოგზაურობა ვრცელ ტრაქტატში აღწერა. მაგრამ ისმის კითხვა – მართლა იმოგზაურა მარკო პოლომ თუ არა?! ეგებ მთელი მისი ტრაქტატი სიცრუეა, რაც ისტორიაში შესასვლელად დასჭირდა?!

სწორედ ეს ეჭვი დაებადა აღნიშნული მუზეუმის თანამშრომელსაც, რადგან, მისი მტკიცებით, იმ ეპოქის ჩინურ მატიანეებში მარკო პოლოს ხსენებაც კი არ არის. ეს ეჭვი მით უფრო გამართილებულია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, მარკო პოლოს თქმით, იგი სამხრეთ ჩინეთის მფლობელის ახლო მეგობარი იყო და ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა იქ. ასე რომ, მისი მოხსენიება ჩინურ წყაროებში აუცილებელიც კი უნდა ყოფილიყო.

გარდა ამისა, თავად მარკო პოლოს თქმითვე, მან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთი სიტყვაც კი ვერ შეისწავლა ჩინური ენისა. ნუთუ არ არის ეს კიდევ ერთი საბაბი ეჭვისათვის? თავად ტრაქტატში ხშირია ქალაქების ზერელე და დაუკვირვებელი აღწერა. ერთ ქალაქზე წერია, რომ ეს არის დიდი დასახლება, რომელსაც მდინარე ჩაუდის. საფიქრებელია, რომ ეს „ინფორმაცია“ ავტორს რუკიდან აქვს აღებული.

ამგვარმა შეხედულებამ მძაფრი რეაქცია გამოიწვია არასამეცნიერო სამყაროში, რადგან მარკო პოლო ვენეციის სიმბოლოა და იქ მისი სახელობის აეროპორტიც კი არსებობს. მარკო პოლო თვით ჩინელთათვისაც მნიშვნელოვანი ფიგურაა, რადგან იგი მათთვის დასავლეთის სამყაროს ხორცშესხმული არსებაა. ამიტომაც გავლენიანმა პირებმა ხსენებული წიგნი და მისი ავტორი მუქარის საგნად გაიხადეს.

ასეტ ფრენსის ვუდი პირველი ინგლისელი არ გახლავთ, ვინც მარკო პოლო ტყუილში ამხილა, მაგალითად, იუჯინ ო'ნილმა დაწერა პიესა, სადაც მარკო პოლო უარყოფით პერსონაჟადაა წარმოდგენილი, იგი მატყუარა და ცბიერი ადამიანია. ამ პიესიდან შეიძლება ისიც კი დავასკვნათ, რომ მარკო პოლოს მოგზაურობა ჩინეთში მისი წარმოსახვის ნაყოფია და სხვა არაფერი.

ასეა თუ ისე, მარკო პოლოს მიერ აღწერილი ეპოქა და სამყარო მაინც მნიშვნელოვანი დოკუმენტია XII საუკუნის ისტორიის შესასწავლად და, რაც არ უნდა კრიტიკულად მიუდგნენ მას ინგლისელები, ამ პიროვნების ღვაწლი კაცობრიობისათვის დიდი შენაძენია.

## 2. ჯორდანო ბრუნო – მეცნიერი თუ აგენტი?!



ბრიტანეთის კუნძულებზე მორიგი აჟიოტაჟი დაიწყო უცხოელი აგენტის მხილებასთან დაკავშირებით; თუმცა საქმე ეხება არა ჩვეულებრივ შპიონს, არამედ მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ პიროვნებას, ჯორდანო ბრუნოს და თანაც ეს საქმე ბრიტანელთათვის საზიანო კი არა სასარგებლო ყოფილა. მიუხედავად ამისა, იორკის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ ბოსმა ჯორდანო ბრუნო მაინც ამხილა შპიონაჟში; იგი წერს, რომ XVI საუკუნეში მცხოვრები ეს იტალიელი მღვდელი, მწერალი და ფილოსოფოსი იყო ნამდვილი მზვერავი, ამხელდა ბრიტანეთში არსებულ კათოლიკურ სექტებს, ეცნობოდა მათს საქმიანობას და შემდეგ აბეზღებდა მათ თავის ინგლისელ პატრონებთან ელისაბედ I-ის კარზე.

ინგლისელი ისტორიკოსის ცნობით, ამით, შესაძლოა პასუხი გაეცა ერთ დამაინტრიგებელ გამოცანას , რაც XVI საუკუნის ბრიტანეთის ფანტასტიურად პროტესტანტულ რელიგიურ ცხოვრებას ეხება. ამ ისტორიკოსმა გამოავლინა ვინმე ჰენრი ფეგოტის პიროვნება; ეს იყო იდუმალებით მოცული ადამიანი, რომლის მაბეზღარობით ხდებოდა ინგლისელი კათოლკეების დაპატიმრება, წამება და დასჯა. აღნიშნულ კათოლიკეებს კი სურდათ ელისაბედ I-ის ნაცვლად ტახტზე აეყვანათ მარიამ სტიუარტი.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ისტორიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ჰენრი ფეგოტი იყო საფრანგეთის საელჩოს აგენტი ლონდონში. ჯონ ბოსმა კი გამოთქვა ვარაუდი, რომ ჰენრი ფეგოტი და ჯორდანო ბრუნო ერთი და იგივე პიროვნებაა. მეცნიერი ამტკიცებს, რომ ბრუნო თავისი სისასტიკისა და პატივმოყვარეობის გამო განუდგა პაპს და დაიწყო მის წინააღმდეგ მოქმედება. „ფეგოტი“ კი, რაც ფრანგულად დასაწვავ მორს ნიშნავს, თავად ჯორდანომ შეირჩია ფსევდონიმად და ამით თითქოს იწინასწარმეტყველა საკუთარი ცხოვრების აღსასრული.

დღემდე ჯორდანო ბრუნო ცნობილი იყო, როგორც მეცნიერ-ფილოსოფოსი, რომელმაც სამყაროს აგებულების კოპერნიკისეული თეორია განავითარა და 1591 წელს მხილებულ იქნა ერეტიკოსობაში და სახალხოდ დაწვეს კოცონზე. სხვათა შორის გარდა რელიგიური დანაშაულისა მას მიაწერენ მკრეხელობას თვით უფალი ღმერთის მიმართ; იგი საეჭვო ხასიათის პოეტურ ხუმრობებს წერდა უზენაესის შესახებ და აი, ახალი „განკითხვა“ 400 წლის შემდეგ, რომელიც მას თანამედროვე ინგლისურმა ისტორიოგრაფიამ არგუნა...

როგორც ჩანს, ყოველი დიდ ისტორიული პიროვნება სამუდამოდაა განწირულია ტყუილ-მართლისა და ჭორისათვის.

*„Фаворит“-ის მიხედვით*

## ინგლისური კროსვორდი

გთავაზობთ მუსიკალური ინსტრუმენტების სახელებს, რომლებიც ჩამალულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში. სიტყვები შეიძლება ერთმანეთს კვეთდეს და მიემართებოდეს სხვადასხვა მიმართულებით: ზემოდან ქვემოთ, ქვემოდან ზემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ ან მარჯვნიდან მარცხნივ.

**lute, bell, horn, oboe, accordion, violoncello, contrabass, harp, drum, trumpet, cornet, nagrot, cymbals, gong, pipe, mandoline, tuba, trombone, guitar, psaltery, mute, taimbourine, flute, kettledrum, tomtom, basson, bugle, clarinet, saxophone, piano, bandore, castanets, bagripe.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| l | m | v | n | n | l | p | m | f | n | f | a | s | w | z | h | q | g | u | i | t | a | r | h | f | a | s | h | d | b |
| u | a | b | p | z | b | s | i | r | s | d | s | p | h | y | o | m | o | n | l | m | i | h | q | p | y | q | l | g | v |
| t | r | u | m | p | e | t | q | t | y | q | r | r | d | e | r | d | n | e | q | o | p | s | w | y | d | r | i | f | i |
| e | p | d | s | l | l | a | a | c | c | o | r | d | i | o | n | p | g | v | s | n | i | w | v | e | s | e | o | b | o |
| w | f | h | w | h | l | b | m | i | a | o | e | y | h | h | f | p | o | s | p | e | o | y | z | e | a | o | m | d | l |
| v | c | q | p | e | h | d | r | u | m | l | r | s | d | o | a | y | b | r | i | n | a | g | r | o | t | l | c | b | o |
| m | o | w | g | o | s | h | a | b | w | b | i | n | s | y | i | d | f | s | p | i | p | e | a | p | b | u | y | n | n |
| z | n | f | i | h | n | d | y | a | t | z | o | h | e | h | m | b | m | n | h | l | a | m | l | k | v | m | m | w | c |
| n | t | u | b | a | i | b | v | e | v | b | i | u | a | t | v | h | s | l | i | o | b | n | y | a | l | a | b | m | e |
| e | r | y | o | r | p | e | q | m | i | d | p | q | r | y | m | p | f | t | q | d | w | e | w | t | p | f | a | v | i |
| l | a | a | p | p | s | a | l | t | e | r | y | n | v | i | n | s | l | s | d | n | f | v | h | t | h | d | r | l | l |
| h | b | e | i | r | w | n | q | z | t | i | o | d | l | w | m | o | u | f | q | a | o | i | l | l | o | s | s | i | o |
| n | a | a | f | v | a | z | e | o | s | c | l | a | r | i | n | e | t | r | o | m | b | o | n | e | w | m | p | b | f |
| d | s | w | s | p | y | s | l | p | n | d | s | q | m | q | e | c | e | m | s | y | l | l | h | d | y | r | t | p | n |
| p | s | r | h | s | r | m | g | b | s | a | n | n | w | a | h | y | s | v | i | z | y | i | a | r | n | p | t | o | y |
| b | o | n | l | x | o | n | u | d | p | q | i | y | d | o | t | s | n | i | q | z | y | m | v | u | w | h | o | s | m |
| i | a | p | y | y | c | n | b | a | g | p | i | p | e | s | a | x | o | p | h | o | n | e | y | m | s | a | m | q | p |
| o | n | i | m | a | r | z | a | p | s | d | s | f | n | f | w | h | d | p | a | s | m | i | h | f | p | r | l | r | i |
| b | a | n | d | o | r | e | n | m | l | a | n | b | v | m | d | c | a | s | t | a | n | e | t | s | n | b | z | w | b |

# ჯვარსიტყვა



**თარაზულად: 5.** XIX ს. ფრანგი მწერალი; **8.** შვარცენეგერის საყვარელი სპორტის სახეობა; **9.** რა ჩამოჰქონდა (...და ჩამოაქვს) წყალს? **10.** კინომსახიობთა თეატრის მსახიობი, ზაზა... **11.** ალექსანდრეს სახესხვაობა; **12.** ნათურ[illegible] ლასამზადებელი მასალა; **13.** რა ელის მტრის დედას (შერბილებული ვარიანტი)? **14.** ქალაქი აშშ-ში; **17.** „როგორი" დედაქალაქი გვაქვს ჩვენ? **18.** თბილისის საპატიო მოქალაქე მუსიკოსი; **22.** ქართული ესტრადის ბერმუხა; **24.** იაპონური სამაგიდო თამაში; **26.** თურქეთის უკანასკნელისწინა პრეზიდენტი; **27.** რუსული თოჯინების თეატრის „სანიმუშო" წარმომადგენელი; **28.** რა სჭირდებათ ნარგავებს (მეცნიერულ ენაზე)? **29.** ფრანგი მწერალი ჟან-პოლ... **31.** ერთგვარი ძვირფასი ქვა; **33.** სიშიშვლის მოყვარული; **34.** რა აქვს ყოველ ქიმიურ ელემენტს? **35.** ბრაზილიური საკარნავალო ცეკვა; **38.** ადგილი თეატრალურ დარბაზში; **40.** ვულკანური მასა; **41.** ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი; **42.** ქართველი მსახიობი ვახტანგი; **45.** მაღალი საკომუნიკაციო ნაგებობა; **46.** ფაუნის წარმომადგენელთა „მოყვარული–მჭამელი"; **47.** მღრღნელთა საყვარელი საკვები; **48.** ქალაქი ესპანეთში; **50.** ერთ-ერთი ქრისტიანული წინასწარმეტყველი; **51.** დიდი ძველბერძენი მეცნიერი; **53.** „შუშანიკის წამების" პერსონაჟი; **54.** საწარ[illegible]სთან წილნაყარი დიდი რუსი პოეტი; **57.** (ენციკლოპედიაში ს[illegible] უკაცრავად!) XV-XVI საუკუნეების რუსი დიპლომატი და მოგზაური, სკანდინავიის ქვეყნებთან ურთიერთობის დამამყარებელი; **58.** როგორი ქრონიკები აქვს აღწერილი ფანტასტ რეი ბრედბერის? **59.** რუსული სიმღერის დიდოსტატი ქალი.

**შვეულად: 1.** გი დე მოპასანის რო[illegible]; **2.** შექსპირის მშობლიური ქალაქი; **3.** ერთგვარი ყვავილი; **4.** ქალაქი თურქეთში; **5.** აშშ-ს შტატი; **6.** როგორი ზეთია საჭმელად გამოსაყენებელი? **7.** მასწავლებლის „მომყვანი" სატრანსპორტო საშუალება; **15.** რუსი მოჭადრაკე დიდოსტატი; **16.** გამტაცებელთა ფუნქციონალური „კოლეგა"; **18.** XIX სა[illegible] რუსი ფილოსოფოსი; **19.** ქა[illegible]ული კულტურისა და მეტროპოლიტინეს ერთ-ერთი სიამაყე; **20.** სახელმწიფო კარიბის ზღვაში; **21.** კინო-ფოტოფირის სახესხვაობა; **23.** ურცხვი ქუჩის ბიჭი; **25.** აცტეკების ბელადი რაიდერ ჰაგარდის პოპულარული რომ[illegible] [illegible]ცენში იმპ[illegible]ირებული „საახალწლო" ფრინველი; **32.** აღმოსავლეთ საფრანგეთის ისტორიულ[illegible] **36** [illegible]ცვას „ივერიის" წინ? **37.** ქალაქი ურალში; **38.** საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი; **39.** ც[illegible] [illegible]რივი სარტყელი; **43.** წყალბადისა და აზოტის შენაერთი; **44.** ბერძნული ლექსთწყობის სახესხვაობა; **49.** პათუსალას ყველაზე ცნობილი შვილიშვილი; **51.** ცნობილი ტურისტული ბანაკი ყარაჩაევო-ჩერქეზეთში; **52.** რა აქვთ საერთო ბერძნულ მითოლოგიას და მენდელეევის პერიოდულ სისტემას? **55.** ქართული საესტრადო ანსამბლი; **56.** სამხრეთ საქართველოს რაიცენტრი.

# კროსვ(W)ორდი



# ძველი ანეკდოტები

**1.** ერთხელ ერთი თბილისელი საზღვაო კატასტროფაში მოყვა. ორი წლის განმავლობაში მას უკაცრიელ კუნძულზე მოუხდა ცხოვრება. ერთ დღეს კუნძულთან ნავი მოცურდა, რომელშიც ლამაზი ქალი იჯდა.

– მოდი ჩემთან და მე მოგცემ იმას, რაც ორი წელია არ გინახავს – უთხრა ქალმა.

თბილისელმა უყურა, უყურა და თავისთვის გაიფიქრა:

– ვაჰ, ნეუქელი ჭაჭა აქვს?!

**2.** სოფელში ერთი ბიზნესმენი ჩავიდა და დაინახა, რომ მიხო ატმის ხის ქვეშ წამოგორებულა და ნებივრობს. ბიზნესმენმა უთხრა:

– აბა, მიხო, აიხედე რამდენი ატამია!

– რა ჩემფეხებად მინდა ატამი?!

– დაკრიფე, ჩაიტანე ბაზარში და გაყიდე.

– მერე?!

– ბაზარში ფულს აიღებ, იმ ფულით საქონელს იყიდი, ჩამოიტან სოფელში და გაყიდი.

– საქონელს კი არა და...

– მერე ფულს დააგროვებ, ბანკს გახსნი.

– მერე?!

– ფულს პროცენტით გასცემ, გამდიდრდები, მერე მიდი და ატმის ქვეშ იგორავე.

– ეხლა რა, არა ვგორაობ?!

**3.** ერთი ჩვენებური ამერიკაში ჩავიდა იქ იგი ცათამბჯენში აიყვანეს, სადაც კარგად გამოთვრა. ის ჩვენებური ფანჯარასთან რომ მივიდა, თავბრუ დაეხვა და მე-100 სართულიდან დაბლა ჩამოვარდა. ფრენისას სულ იმას ეხვეწებოდა ღმერთს – ოღონდ ახლა გადამარჩინე და ჩემს ცხოვრებაში სასმელს არ გავეკარებიო!

მიწასთან მიახლოებისას იმ ჩვენებურს გაუმართლა და ბამბით დატვირთულ მანქანას დაეცა. ჩამოვიდა მანქანიდან, ტანსაცმელი ჩამოიბერტყა, მიიხედ-მოიხედა და გაიფიქრა:

– ვაჰ, ხედავ კაცო, ფრენის დროს რა უცნაური აზრები მოდის თავში!

**4.** ერთხელ ერთ ქალთან საყვარელი მოვიდა... უცებ კარზე დააბრახუნეს.

– ჩემი ქმარი მოვიდა! – შეჰკივლა ქალმა და მუხლებზე დაეცა: – ღმერთო, ისე ქენი, რომ ჩემი საყვარელი გაქრეს და ქმარმა ვერაფერი გაიგოს!

– კარგი – გაისმა ციდან ხმა – შეგისრულებ ნატვრას, ოღონდ იცოდე, ამ ცოდვისათვის წყალში დაიხრჩობი.

– თანახმა ვარ – თქვა ქალმა და თან გაიფიქრა – სულ არ გავეკარებიო წყალს.

გავიდა დრო, ქალს სამსახურში ხმელთაშუა ზღვაზე უფასო მოგზაურობის საგზური მისცეს. ქალს პირობა დაავიწყდა, ჩაჯდა გემში და გაცურა ზღვაში. უცებ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა: – ღმერთო, ნუთუ ჩემი გულისთვის ამდენ ადამიანს დაღუპავ?! – დაიკვნესა ქალმა.

ციდან ისევ გაისმა: – დავღუპავ! მე თქვენ, კახპებს, სამი წელი გაგროვებდით ყველას ერთად!

# კროსვორდი



## თარაზულად:

**5.** სანჩო პანსასათვის სანატრელი თანამდებობა; **13.** მწვანილითა და მამრით მიღებული ჯუჯა; **14.** არც ძალიან გრძელი და არც საშუალო სიგრძის... მაშ, როგორი? **15.** მტკნარი წყლების თევზი; **16.** პროფესია, რომელიც დღეს (სამწუხაროდ!) მრავალმა ინტელიგენტმა „შეიძინა“ (იგივე – დოკერი); **17.** ქართული ოპერა; **18.** *(კითხვა ეძღვნება 7 ნოემბრის დღესასწაულს)* რა განიცადა კომუნისტურმა იდეამ? **20.** სითხის საზომი ერთეული; **21.** საზოგადოებისაგან გასამიჯნი ფართი; **25.** ერთი ცალი რამ ფეხბურთელის გარდერობიდან; **28.** ზოგი ფრანგი მეფის სახელი; **29.** გიტარისათვის საჭირო ინვენტარი; **30.** აწ დამარცხებული მძიმე დაავადება; **33.** ვაჟასეული „ბახტრიონის“ პერსონაჟი; **34.** ქართველი კინომსახიობი და რეჟისორი; **35.** დედამიწელთა ერთი ნაწილის სამთამომავლო „ინვენტარი“; **37.** აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; **39.** მოთხრობა, რომლის მიხედვითაც იქნა გადაღებული ცნობილი ფრანგული ფილმი „ჯადოქარი“; **41.** ფერმწერისათვის საჭირო ხელი; **44.** საზეინკლო შრომის პროდუქტი; **46.** ტროცკის და კამენევის (ასევე) შერისხული კოლეგა; **48.** ლექსიკურად „მეათე“ და რიგით მეთორმეტე; **49.** თბილისის ერთ-ერთი TV-კომპანია; **52.** ოკუჯავაც, ვისოცკიც, რამიშვილიც... (ბატონი ოთარი ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!); **53.** როგორ მიმართავდნენ ქართველ პოეტ ევდოშვილს მისი თანამედროვენი? **56.** მამაკაცის ძველებური მოსასხამი; **57.** XX საუკუნის უდიდესი მეცნიერი; **58.** ვინ შეიქმნა ბათუ საფარ-ბეგისათვის ცხენის მოყვანის შემდეგ? **59.** რა ჰქვია სხვაგვარად გულისგამაწვრილებელ არსებას? **60.** რა ჰყავს ყოველ საწარმო-ორგანიზაციას? **62.** XVIII-XIX სს. რუსი პოეტი; **63.** სახელმწიფო აფრიკაში; **64.** ვინ იყო შევარდნაძემდე? **67.** თბილისის ერთ-ერთი სახელდაბრუნებული უბანი; **68.** გეომეტრიული სხეული; **71.** ქართველი კომპოზიტორი; **73.** ღარიბების სამშენებლო მასალა; **76.** აშშ-ს XXVIII პრეზიდენტი; **78.** ახლახანს დაწყებული სერიალი; **81.** XIX საუკუნის რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი; **83.** შრომით შეძენილი ქონება; **84.** ცასთან ყველაზე ახლოს მისული „დედამიწელი“; **86.** თარაზულ №5-თან უშუალოდ დაკავშირებული შემოქმედი; **87.** ბაირონიც, შატობრიანიც, ბარათაშვილიც... **88.** მთავარი ქუჩა ინგლისურენოვან სამყაროში; **89.** XX საუკუნის რუსეთის (ჯერჯერობით!) სიამაყე; **91.** საფეხბურთო (...და საკალათბურთოც!) „ენა“; **93.** რა გასრულდა „ვითა სიზმარი ღამისა“? **94.** მორწყვა არაჩვეულებრივად; **98.** უპატრონო არსება; **99.** მიკროსკოპის გამომგონებელი; **101.** აწგარდაცვლილი ქართველი კინორეჟისორი; **102.** თარაზული №60-ის ხელმძღვანელი ქალი; **104.** შუა სს. სკანდინავიელი მებრძოლი-მეკობრე; **106.** თანამედროვე შავკანიანი ინგლისელი ფეხბურთელი; **107.** სავარაუდო სიტყვა; **108.** ნაბეჭდი პროდუქციის ჩამონათვალი; **109.** სოფიკო ჭიაურელის პერსონაჟი ფილმში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“; **111.** XX საუკუნის რუსი ფილოსოფოსი; **115.** ამოუცნობი მოვლენა ან სუბიექტი; **116.** ოსკარ უაილდის რომანის მთავარი გმირი; **117.** სამხედრო–დამცავი ნაგებობა; **118.** ჭრიჭინასთან „უმრახად მყოფი“ ბოტანიკოსი; **119.** არაბული სამყაროს შემსწავლელი მეცნიერება;

## შვეულად:

**1.** ალკოჰოლური სასმელი; **2.** სამხედრო-საზღვაო ხელმძღვანელობა; **3.** ვინ იყო ჯოტია ცაავა მძლეოსანთა ენაზე? **4.** შუასაუკუნეების უკრაინელი მწერალი-ფილოსოფოსი; **5.** ოვანეს თუმანიანის თბილისური მოთხრობა; **6.** უალკოჰოლო სასმელი; **7.** სადღესასწაულოდ აღდგენილი უბანი თბილისში; **8.** რელიგიური სასმელი; **9.** ქალაქი ესპანეთში; **10.** სადაური იყო ის ოცდაორი კაცი, რომლებმაც „ათი უსიამოვნება“ მიაყენეს თბილისის „დინამოს“ ორი წლის განმავლობაში; **11.** რა ჩატარდა საქართველოში ვაუჩერების საშუალებით? **12.** ჩეხეთის ისტორიული ოლქი; **17.** ფრანგ მეფეთა კნინობითი სახელი; **19.** ქალაქი თურქეთში; **22.** ახლო წარსულის უკრაინელი ფეხბურთელი; **23.** პერსონაჟი ტრაგედიისა „რომეო და ჯულიეტა“; **24.** გერმანიის სამრეწველო რეგიონი; **26.** პერსონაჟი პიესისა „დარისპანის გასაჭირი“; **27.** ტრიგონომეტრიული ფუნქცია; **31.** ლერმონტოვისა და რუსთაველის შემოქმედების ილუსტრატორი; **32.** ოსური ხაჭაპური; **35.** სამყაროს აგებულების ჰელიოცენტრიული სისტემის შემქმნელი; **36.** საქართველოს ფაუნის წარმომადგენელი; **38.** აღორძინების ეპოქის უკანასკნელი იტალიელი მხატვარი; **40.** XVII-XVIII საუკუნეებში გავრცელებული ჟანრი ქართულ პოეზიაში; **42.** ვარდისებრთა ოჯახის ველური ბუჩქი ან ხე; **43.** ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანო; **45.** ფაშისტური გერმანიის მაღალჩინოსანი მოღვაწე; **47.** გოეთეს მშობლიური ქალაქი; **50.** წეს-ჩვეულებათა სანახაობითი ვარიანტი; **51.** მოძღვრება ყველგან და ყველაფერში სულის მოძიების შესახებ; **54.** ახლო წარსულის არგენტინელი მოჭადრაკე-დიდოსტატი; **55.** მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი სახელმწიფო; **56.** აშშ-ს შტატი; **61.** ბრბოზე ზემოქნედების საშუალება; **65.** ძილამდე მოსასმელი რამ; **66.** შემოქმედების მამოძრავებელი ცნება; **69.** არსება, რომელსაც ქართველმა კინემატოგრაფისტებმა „კბილი“ ამოაძრეს; **70.** მოძღვრება, რომელიც შეიძლება ასე გაიშიფროს – „სხვაზე ზრუნვა“; **72.** დასასვენებელი კომპლექსი; **73.** სუბიექტი, ვისთვისაც საფოსტო გზავნილია განკუთვნილი; **74.** რა აკავშირებს კროსვორდის მოყვარულს კროსვორდთან? **75.** რა ეხმარება ქალს ქმართან დავაში? **77.** რუსი „ხალხოსანი“ პოეტი; **79.** ვინ იყო ავთანდილის მამა? **80.** პოპულარული სალანძღავი სიტყვა; **82.** გენიალური ინგლისელი მსახიობი; **85.** ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი მშვილდოსნობაში; **86.** მძიმე ვენერიული დაავადება; **90.** იგივეა, რაც ნაკლი; **92.** წყალთან შეთამამებული ფრინველი; **93.** საბრძოლო ხაზის განაპირა მხარე; **95.** ცეცხლსასროლი იარაღი; **96.** ფაშისტური გერმანიის განსაკუთრებული დამსჯელი ორგანო; **97.** ცოცხალი არსების შემადგენელი ორგანული ნივთიერება; **100.** ევროპის ერთ-ერთი მკვიდრი; **102.** რუმინელი ვამპირი გრაფი; **103.** წინააღმდეგობრივი სიტყვა; **104.** იგივეა, რაც „მეორე“; **105.** ფიზიკურად დამახინჯებული ადამიანი; **110.** ჭექა-ქუხილის პროდუქტი; **111.** ქვეყანაში შესასვლელი გადასახადი; **112.** რა გააჩნია წყლის ზედაპირს? **113.** მუსიკალური ინსტრუმენტი; **114.** ამკრძალავი ღონისძიება; **116.** იგივეა, რაც დედამიწა;

## გასული ნომრის პასუხები

(პირველი გვერდი) თარაზულად: 10. ჯაკომო; 11. პასტორალი; 12. აი; 13. მწიღნავი; 14. ლოო; 15. რედუტი; 16. ავანდასტა; 17. ადანი; 18. ყბა; 21. ლეო; 22. ვიე; 24. დოუ; 25. ცემენტი; 28. ჩურჩილი; 30. ცივილიზაცია; 32. ფიფა. 33. ბეარზოტი; 34. შტაბი; 37. კაპრონი; 39. ძნა; 40. კვაზარი; 43. უშუ; 44. გვამი; 45. დურბინდი; 48. ურჩი; 49. კობალტი; 50. თუმანი; შვეულად: 1. მასწავლებელი; 2. ლონდონი; 3. მოპასანი; 4. სპრინტი; 5. ქსელი; 6. ჯოკონდა; 7. საფრანგეთი; 8. ბინდი; 9. სანტიმეტრი; 19. რობინზონი; 20. პედანტიზმი; 23. ერი; 26. ოჩაური; 27. ლიფტი; 29. ლობანოვსკი; 31. ჯან; 35. ბოროდინი; 36. ქვირითი; 38. ავშარა; 41. ამება; 42. ოდოია; 46. კოი; 47. ელე; 51. მე.

(მესამე გვერდი, მარცხენა კროსვორდი) თარაზულად: 3. სინჯარა; 9. ვინძლო; 11. ფურგანა; 12. მაჩეტე; 13. თეატრი; 14. ლუიდორი; 16. პიპინია; 19. ლატარია; 23. ახირება; 27. მდევარი; 31. როუბენსი; 34. ინდიგო; 35. ლარისა; 36. ლებარდე; 37. ფრანტი; 38. მიმინო; 39. ატატება; შვეულად: 1. სირაჯი; 2. უძლები; 3. სოფელი; 4. ნარდი; 5. აგაზო; 6. აპათია; 7. არტალა; 8. გიორგი; 15. დოლიძე; 16. უმა; 17. პონი; 18. ნედე; 20. ტირე; 21. რიგა; 22. არხი; 24. კნკრა; 25. რაიონი; 26. ბროლია; 28. დილემა; 29. ვარუმი; 30. როსინი; 32. ბუბკა; 33. ნერსე;

(მარჯვენა კროსვორდი) თარაზულად: 3. ჭანჭარა; 9. არსენა; 10. დარიკო; 11. რადიუსი; 12. ბიძინა; 13. ლალატი; 14. ფეხაკძე; 16. კოლონია; 19. ფაცაცია; 23. ათაბაგი; 27. მხედარი; 31. რაფაელი; 34. ურარტუ; 35. როზიტა; 36. ზინვერი; 37. მშვიდი; 38. მელორი; 39. ასურეთი; შვეულად: 1. ორშიმო; 2. რეზიკო; 3. ჭარაფი; 4. ნოდია; 5. ალუდა; 6. ადიღე; 7. კრულვა; 8. სკეტჩი; 15. კოლეგა; 16. კუდაი; 17. ლომა; 18. ნუგა; 20. ცეცე; 21. ციგა; 22. აფზი; 24. თარაში; 25. ბერდია; 26. გრუზია; 28. ხირიმი; 29. დიზელი; 30. როტორი; 32. ფუნდუ; 33. ელფე;

(სპორტული კროსვორდი) თარაზულად: 1. უესვიო; 5. ლაუდრუპი; 11. ტრე; 12. შმეიხელი; 13. მაკინრო; 15. გოი; 16. იპოდრომი; 18. ბორნი; 19. ფლანგი; 20. სლალომი; 22. ნევრეტე; 23. ნარვა; 24. სპი; 25. ელო; 26. ლინფილდი; 29. დიდი; 32. ლეკვეიშვილი; 33. ჭილაია; 37. აბრამიანი; 39. კოტაიკი; 40. ანთაძე; 41. ფალავანი; შვეულად: 2. უემბლი; 3. ეპიცენტრი; 4. ილეთი; 6. რომარიო; 7. დვირი; 8. იაროსლავი; 9. მეკოკიშვილი; 10. დინო; 11. ტივანა; 14. კემპინგი; 17. პელე; 18. ბუნდესლიგა; 20. სტეინიცი; 21. ლური; 24. სიჭინავა; 27. ფავორიტი; 28. ლელო; 30. ავიაცია; 31. აჭარა; 34. ნარინჯი; 35. შირე; 37. აკკი; 38. ვაა; (გადაკვეთები) თანამიმდევრულად: მარიხუანა, დოდაშვილი, ოპერა, აბუსერიძე, სპრინტერი, ჯაგლაგი, მშიერი, ბეშიქთაში, ინტერიერი, ბოგანო, აბჯარი, ქსენძი, გაგრია, ეთერი, პროფესორი, შანდალი, მძვინვარე, ტრიპოლსკი, აგუტინი, მშენებელი, აპოგეა, დიკენსი, უტრეხტი, ანდორა, კორვალოლი, ხვავი, ვისკი, დაბრუნება, გნოლი, რვალი, პლიხე, ალბიონი, ურანი.

(მეოთხე გვერდი) თარაზულად: 13. ექსპერიმენტი; 14. ივანიშვილი; 15. სპორტსმენი; 16. ტროპარი; 17. კამსკი; 18. პოლონეთი; 19. მენეჯმენტი; 20. სვანი; 22. სტრიპტიზი; 24. დიუმა; 25. არტილერია; 28. ყბა; 30. პანო; 31. ანოდი; 32. ალიანსი; 38. კვერნა; 39. ბახტრიონი; 40. აფროდიტე; 42. მენაღარიშვილი; 43. პიტი; 44. ბოლერო; 46. პოტიომკინი; 48. ფოსტა; 49. არმინია; 52. კორიანტელი; 53. დიაოხი; 54. სიმბა; 58. თეკერე; 59. ბიურგერი; 60. ლინეკერი; 63. ჰამბურგერი; 66. ძაფი; 68. დილეტანტი; 70. კონსტიტუცია; 71. ზაკალეა; 72. პოუნი; 75. ბის; 76. ფიორდი; 78. რეკლამა; 80. ელია; 83. სკრა. 85. ვინსტონი; 86. იურისდიქცია; 89. ანარეკლი; 90. ველინგტონი; 91. სტილი; შვეულად: 1. ექსპრომტი; 2. აპერკოტი; 3. პროსპექტი; 4. ამპერი; 5. ანგიომა; 6. დისტანცია; 7. რისორჯიმენტო; 8. ფარადეი; 9. თითისტარი; 10. ლესკო; 11. სიამოვნება; 12. ვისკონტი; 21. შიკლპრუბერი; 23. ზაარბრიუკენი; 26. ფოიხტვანგერი; 27. ადმინისტრაცია; 29. ბერია; 33. სატურნი; 34. ევტერპა; 35. ვაშალომიძე; 36. ურალი; 37. ბაგიო; 41. დელფინი; 45. ლონდრე; 47. ტროლეიბუსი; 50. ნიორაძე; 51. ახალციხე; 55. ბარიტონი; 57. ანტეი; 61. კრაკოვი; 62. პერუ; 64. რეიკიავიკი; 65. ინიციატივა; 67. ფრანკი; 69. კატაპულტა; 73. გრანელი; 74. დეიდა; 77. რანტიე; 79. ათიანი; 81. პარი; 82. შიოლა; 84. კანი; 87. ქატო; 88. უნო;



# ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებანი 1998 წლისათვის

ამა წლის 20 ივნისამდე ფიქრობდნენ, რომ ნოსტრადამუსის ყველა შრომა ნაპოვნია, მაგრამ ამ დღეს აღმოაჩინეს წარსულის დიდი წინასწარმეტყველის ახალი დღიური, რაც მას საკუთარი ხელით აქვს დაწერილი. დღიურის აღმომჩენმა ისტორიკოსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახლად აღმოჩენილ ტექსტში 15 სრულიად უცნობი წინასწარმეტყველებაა, რომელიც 1998 წლის მოვლენებს ეხება, დაწერილია ფრანგულ ენაზე ნოსტრადამუსის პოეტურ სტილში (qatrans) გთავაზობთ მომავალი წლის თ ხ უ თ მ ე ტ ი ვ ე წინასწარმეტყველებას და თავად განსაჯეთ:

**ცნობილმა ფრანგმა ექსპერტმა კარბონ დატინგმა დაადასტურა, რომ ისტორიკოს ელგარ მორსკის მიერ 1997 წლის 20 ივნისს პარიზის შემოგარენის ერთ-ერთ მონასტერში ნაპოვნი დღიური ეკუთვნის დიდ წინასწარმეტყველს ნოსტრადამუსს**

1. 1998 წლის ზაფხულში აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროზე სამი ძლიერი ქარიშხალი პირისაგან მიწისა აღგვის ათასობით სახლს და დაიღუპება მილიონობით ამერიკელი.

2. ევროპის ცენტრში ერთი კათოლიკე კარდინალი მხილებულ იქნება სატანისტობაში და ათასობით მისი მიმდევარი თვითმკვლელობით დაასრულებს სიცოცხლეს.

3. აშშ-ს სამხრეთ შტატებში ბუნებრივი დისბალანსის გამო 1998 წელს დაიწყება ქვეწარმავალთა შესევა. გველები შეძვრებიან ადამიანთა სახლებში და ათასობით კაცი დაიღუპება მათი კბენისაგან. ხალხი გაიღვიძებს დილით და საწოლში უხსენებელს იხილავს.

4. რუსეთის ერთ-ერთ ატომურ სადგურში ახალი დიდმასშტაბიანი ინციდენტი მოხდება. უზარმაზარ ტერიტორიაზე მოიწამლება ჰაერი და წყალი.

5. ვინმე პოლონელი დოქტორი გამოიგონებს ახალ ვაქცინა-წამალს კიბოს დაავადების ყველა სახეობის სამკურნალოდ. ახალი წამალი ეფექტურად იმოქმედებს თვით უკიდურესად მძიმე დაავადებების დროსაც კი.

6. 54 წლის ბუდისტი ბერი ნეპალიდან კაცობრიობის ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონი გახდება ერთდროულად სპორტის ოთხ სახეობაში.

7. მეცნიერები სიცოცხლეს დაუბრუნებენ ეგვიპტელი ქალის მუმიას, რომელმაც დაბალზამირებულ მდგომარეობაში 1500 წელი იარსება. ეს ქალი სამყაროს ამცნობს ეგვიპტური ცივილიზაციის საიდუმლოებებს.

8. მუსიკალურ ტატნობზე ამობრწყინდება გასაოცარი მევიოლინის ვარსკვლავი; ამ პიროვნების მიერ შექმნილ მუსიკას გაუგონარი თვისებები ექნება – იგი ადამიანებს განკურნავს. ათასობით ადამიანი ამ მუსიკის მოსმენით შვებას იგრძნობს, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამართული კონცერტი ერთმანეთთან მტრულად განწყობილ ქვეყნებს დაამოყვრებს.

9. ერთი ინდოელი გურუ შეასწავლის უამრავ ადამიანს საკუთარი გონებრივი პოტენციალის საშუალებით დედამიწის ზედაპირიდან მოწყვეტას და ფრენას.

10. მთელი მსოფლიო იხილავს სატელევიზიო შოუს მოლაპარაკე ძაღლის მონაწილეობით (ნოსტრადამუსი, რა თქმა უნდა, სიტყვა „ტელევიზორს“ არ ასახელებს, მაგრამ აბსოლუტური სიზუსტით აღწერს ამ აპარატს).

11. თავს იჩენს ახალი ვირუსი, რომელიც მრავალ ტკივილგამომწვევ ბაქტერიას გაანადგურებს.

12. ჩინეთში ჩაივლის „სიკვდილის წვიმის“ განუწყვეტელი სერია, რასაც ორი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირება;

13. საფრანგეთის ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწე (შესაძლოა, ეს პრემიერ-მინისტრი იყოს) საკუთარ ცოლს მიატოვებს და ჩვეულებრივ მებუფეტე ქალზე იქორწინებს.

14. აშშ-ს დიდი კანიონის სიახლოვეს გიგანტური კომეტა ჩამოვარდება და მთლიანად შეცვლის შემოგარენის რელიეფს.

15. დეკემბერში, უფრო ზუსტად 1998 წლის 13 დეკემბერს, უამრავი დედამიწელი ძალიან მოკლე ხნით იხილავს იესო ქრისტეს, რომელიც უკანასკნელ შანსს მისცემს მათ დედამიწაზე დაბრუნებამდე, რაც 2000 წლის 6 მაისს აღსრულდება.




**მინაწერი**: *ყოველი დიდი ადამიანის ნააზრევში თანამედროვენი, რაღაც პოლიტიკისა თუ ორიგინალობის გამოისობით, მისტიურსა და ნათელმხილველურ ნოტებს ეძებენ. გთავაზობთ ასეთი კვლევა-ძიების ნიმუშს, რომელიც ერთმა მოსწავლემ საკონტროლო წერითი სამუშაოს შესრულებისას „ვეფხისტყაოსანში“ მოიძია:*

*„ჯერ კიდევ XII საუკუნეში დიდმა შოთა რუსთაველმა არაბი ავთანდილისა და ინდოელი ტარიელის მეგობრობით კომუნისტური ეპოქის ხალხთა მეგობრობა იწინასწარმეტყველა!“.*

*... აი, ახლა კი მართლაც თავად განსაჯეთ.*


ი/ს „ფანტაზია“
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ
№7/1-1811 (15.07.1996)
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
ტელეფონი: 74-64-80